მატჩი ალმა–ათაში

ალმა–ათა. “ქაირათის” სტადიონი. 1 ივლისი.

“ქაირათი” (ალმა–ათა) – “დინამო” (თბილისი) 4:0 (2:0).

“ქაირათი”: უბიკინი, კუკლევი (ნიკიტენკო), ჯუმანოვი, იაროვენკო, შადიევი, ვოლგინი (ზაიცევი), სალიმოვი, ბერდიევი, მასუდოვი, სტუკაშოვი, ფეხლევანიდი.

“დინამო”: ბალაძე, მიქაბერიძე (ქოჩქიანი), პაიკიძე, სულაქველიძე, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, თევზაძე (შენგელია), გუცაევი, გურული, ჭედია.

მსაჯი: ა. კირილოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს იაროვენკო.

დუბლიორები – 0:1. ბურთი გაიტანა ჭილაიამ.

ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მასპინძლებმა წარმატებას ჯერ კიდევ დასაწყისშივე მიაღწიეს: მე–3 წუთი მიმდინარეობდა, როცა ვოლგინი დაახლოებით 23–24 მეტრზე მიუახლოვდა დინამოელთა კარს და მოულოდნელად, მაგრამ ძლიერად და ზუსტად დაარტყა. ბალაძე კარიდან წინ იყო გამოსული, მან რეაგირებაც ვერ მოასწრო და გაუშვა ბურთი – 1:0.

ათიოდე წუთის შემდეგ, მასპინძელთა მორიგი იერიშის დროს, “დინამოს” მხარეს დაინიშნა ჯარიმა. კარის წინ ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო სალიმოვმა – 2:0.

“ქაირათს” შესვენებამდეც შეეძლო კიდევ უფრო დაწინაურებულიყო, ვინაიდან დინამოელთა მცველები სისტემატურად აგვიანებდნენ, ცდებოდნენ, უყურადღებოდ ტოვებდნენ მეტოქე ფორვარდებს. გარდა ამისა, ნახევარმცველებმა ვერ შეძლეს ინიციატივის მოპოვება შუა მინდორში, ხოლო თავდამსხმელები იშვიათად თუ აწუხებდნენ მეკარე უბიკინს.

მინდორზე ბევრი არაფერი შეცვლილა მეორე ტაიმშიც. მასპინძლებმა, ანგარიშის შენარჩუნების მიზნით, ერთხანს სცადეს შეენელებინათ ტემპი, მაგრამ როცა იგრძნეს სტუმართა პასიურობა, ის, რომ მათი მხრივ დიდი საფრთხე არ მოელოდათ, კვლავ შეუტიეს და კიდევ ორი გოლი გაიტანეს. მეტოქის კარი 62–ე წუთზე აიღო მასუდოვმა, ხოლო შემდეგ,უკვე მატჩის ბოლო წუთზე, ფეხლევანიდიმ.

თბილისის დინამოელებმა მეტოქის მინდორზე კვლავ სუსტად ითამაშეს და ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ.

“ლელო”, 3 ივლისი, 1984 წ.